ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1367626

ნომერი: AR1232583

თარიღი : 27.06.2014

გაცემის თარიღი : 04.07.2014

გაცნობის თარიღი : 05.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის, (ნაკვ. 14/151) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა დადუანი პ/ნ 62004012475
- გულრიფში ს. ვარჩე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის სასაწყობე შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ვარკეთილი – 2 – სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის (ნაკვ. 14/151) შპს „ვარჩე“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, I კლასის სასაწყობე შენობა–ნაგებობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „ვარჩე“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.19.36.014.245, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014189959 15/04/2014წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ვარკეთილი – 2 – სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის (ნაკვ. 14/151) შპს „ვარჩე“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, I კლასის სასაწყობე შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

•სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.